ახალი ხარაგაული

№314 (06), 14 მარტი, 2016 წ.

ძვირფასო ქალბატონებო!

მარტის უმშვენიერეს დღესასწაულებს - დედისა და ქალთა დღეებს გილოცავთ.

თქვენი ბედნიერება, ღვთისგან მომადლებული უწმინდესი მისია, ქვეყნის ძლიერების საძირკველია.

დაე, არ მოგკლებოდეთ ჯანმრთელობა და თქვენი საპატიო შრომის ჯეროვანი შეფასება.

პატივისცემით
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გამგებელი
კობა ლურსმანაშვილი

ქვირფასო ქალბატონებო!

გილოცავთ გაზაფხულსა და გაზაფხულის უნაზეს დღესასწაულებს - დედის დღესა და ქალთა დღეს!

შეუფასებელია თქვენი ღვაწლი, ზრუნვა და თავდადება ერისა და ქვეყნის წინაშე. გამორჩეული სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით მინდა, მივულოცო ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ქალბატონებს. გწამდეთ, თქვენი კეთილდღეობისათვის ზრუნვა ჩემი სამოქმედო პროგრამის უმთავრესი ნაწილია. ვეცდები, არასდროს გაგიმტყუვნოთ იმედები.

გფარავდეთ ღვთისმშობლის მადლი.

ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი
ვარლამ ჭიპაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა

3 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა. მათ სამედიცინო მომსახურება არაინვაზიური კარდიოლოგიის ცენტრმა „სისტოლა“ და შპს „კარდიოექსპრესის“ ექიმთა 13 კაციანმა ჯგუფმა გაუწია. პაციენტთა მიღება ბორის სკოლა-პანსიონში (ყოფილი კიცხის სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე) 11.30 -დან 17 სთ-მდე ხდებოდა. დაბა ხარაგაულის მოსახლეობას უფასოდ მიკროავტობუსი ემსახურებოდა. სამედიცინო მომსახურების ჯგუფთან მოლაპარაკებებს საკრებულოს წევრი მარინე ვეფხვაძე გამგებელ კობა ლურსმანაშვილთან შეთანხმებით აწარმოებდა.

მარინე ვეფხვაძე (საკრებულოს წევრი): „უფასო სამედიცინო შემოწმებამ მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. მთელი დღის განმავლობაში 200 მდე პაციენტს მოემსახურნენ. უყურადღებოდ არავინ დარჩენილა. ყველას გაეწია სათანადო მომსახურება, საჭიროების მიხედვით დაურიგდათ მედიკამენტები. მსგავსი აქციები, ჩემი აზრით, სასარგებლო და კარგია მოსახლეობისთვის. მათთვის, ვისთვისაც სამედიცინო შემოწმება ხშირად მთელი წლის განმავლობაშიც კი შეუძლებელია.“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, მადლობა გადაუხადა ექიმთა ჯგუფს და მათ ხარაგაულის მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისათვის და თანადგომისათვის მადლობის სიგელები გადასცა.

„დღეს ხარაგაულის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისარგებლა სამედიცინო მომსახურებით. მნიშვნელოვანია, რომ ეს აქცია„დედის დღეს“ დაემთხვა. ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, როდესაც ადამიანები ვგრძნობთ, რომ ერთმანეთს ვჭირდებით. მუნიციპალიტეტის სახელით მადლობას გიხდით გულისხმიერებისათვის და ხარაგაულელთათვის გამოჩენილი თანადგომისათვის“ - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

ექიმთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ. კარდიოლოგები: თამაზ ორაგველიძე, კონსტანტინე ზარქუა, ნათია ლიპარტელიანი, ნიკა მკალავიშვილი, ნათია ზაბახიძე, თინათინ დარბაიძე, მათა გუჯაბიძე, სოფიო წიქარიშვილი, თამთა ფიფია. ენდოკრინოლოგები: მაია ჩიქობავა, მანანა ბაციაშვილი; გასტროენტეროლოგ-ქირურგი: ლაშა სილოგავა. ჯგუფის ხელმძღვანელი ექიმ-კარდიოლოგი პაატა ქავთარია გახლდათ.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, გამგეობაში სამი სამსახურის უფროსის გადანაცვლება მოხდა. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, არჩილ ლურსმანაშვილი, ეკონომიკის, ქონების მართვისა და აღრიცხვის სამსახურის უფროსად დაინიშნა, ხოლო როინ გელაშვილი, რომელიც ამ უკანასკნელი სამსახურის უფროსი გახლდათ, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს უხელმძღვანელებს. ბესო ჭიპაშვილი კი, რომელიც აღნიშნულ სამსახურს კურირებდა, არქიტექტურისა და ზედამხდველობის სამსახურის უფროსის სტატუსით შეუდგება მუშაობას. გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, განმარტებით, გამგეობაში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების გადაადგილებები მომავალშიც იგეგმება.

მიხეილ ჭიპაშვილის სარჩელი სამსახურში აღდგენის თაობაზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა

10 მარტს ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ მონაწილე მხარეებს ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ ყოფილი დირექტორის, მიხეილ ჭიპაშვილის, საქმის სარეზოლუციო ნაწილი გააცნო.

„ხარაგაულკეთილმოწყობის“ ყოფილმა დირექტორმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის ბრძანება გაასაჩივრა, რომლის საფუძველზეც იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს. მიხეილ ჭიპაშვილი თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას ითხოვდა.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ მიხეილ ჭიპაშვილის თანამდებობაზე აღდგენა არ დააკმაყოფილა. სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილით კი, ბათილად გამოცხადდა მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, ბრძანება. ბრძანების ბათილად ცნობის მიზეზად გათავისუფლების საფუძვლად შრომის კოდექსის გამოყენება დასახელდა. მოსამართლის, ელენე ოსაძის, მიერ განმარტებულ იქნა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, გამგებელს უფლება ჰქონდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თავის შეხედულებისამებრ დაენიშნა ან გაეთავისუფლებინა თანამდებობიდან და აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძვლად, პირის მიერ ჩადენილი კონკრეტული ქმედებები არ დაესახელებინა.

მუნიციპალიტეტის გამგეობას მიხეილ ჭიპაშვილის სასარგებლოდ 1000 ლარის გადახდა დაეკისრა. სასამართლომ განმარტა, რომ შრომის კოდექსის თანახმად, მიხეილ ჭიპაშვილი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 30 დღით ადრე უნდა გაეფრთხილებინათ.

დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სასამართლო უახლოეს მომავალში ჩააბარებს მხარეებს.

მილოცვა

ვულოცავთ დაბადების დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ

კობა ლურსმანაშვილს,

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და უშრეტ ენერგიას.

ბატონო კობა!

თქვენი შინაარსიანი ცხოვრება, ადამიანებთან ურთიერთობის თქვენეული კულტურა, ხალხისადმი სიყვარულის დიდი ძალა გარანტია იმისა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი და მისი საზოგადოება უამრავ სიკეთეს ეზიარება. უფლის მადლმა აგვსრულებინოთ თქვენი ყველა კეთილი ჩანაფიქრი.

„მოქალაქეთა ჩართულობისა
და ინფორმირების მუნიციპალური
ცენტრის“ თანამშრომლები

ხარაგაულში სოციალურად დაუცველ ოჯახებს საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი და სასკოლო ნაკრებები გადაეცათ

ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანებამ“ (დირექტორი გიორგი ატაშვილი) ხარაგაულში საქველმოქმედო აქცია განახორციელა. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ინიციატივით აღნიშნულმა ორგანიზაციამ ხარაგაულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი და სასკოლო ნაკრებები გადასცა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან საქველმოქმედო აქციაში 100-ზ ე მეტი ბენეფიციარი ჩაერთო. 11 მარტს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ და „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელმა ეკა შავიძემ სოციალურად დაუცველ ოჯახებს საკვები პროდუქტები და ტანსაცმელი პირადად გადასცეს. რაც შეეხება სასკოლო ნაკრებებს, მოსწავლეებს აღნიშნული პაკეტი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ პაატა გოგოლაძემ, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით კიკნაძემ და „მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის“ წარმომადგენლებმა გადასცეს. შეგახსენებთ, რომ ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება“ სხვადასხვა საქველმოქმედო აქციას უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს, ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაციების — „ორფან გრეინ ტრეინისა“ და „ლუთერანების მსოფლიო დახმარების“ ფინანსური მხარდაჭერით. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი” მადლიერებას გამოხატავს აღნიშნული ორგანიზაციის და მისი ხელმძღვანელის, გიორგი ატაშვილის, მიმართ, იმ ქველმოქმედებისათვის რაც ხარაგაულში განახორციელეს.

თამარ მაღრაძე

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

4 მარტს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. საბიუჯეტო ცვლილების თანახმად, სახელმწიფო ფონდების სახსრების ნაშთიდან 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯებში 245 128 ლარი მიიმართა. აღნიშნული თანხიდან, 241 928 ლარი გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია - ექსპლუატაციისათვის დაიხარჯება, მათ შორის 230 000 ლარი ხარაგაული-ფარცხნალის გზის სარეაბილიტაციოდ. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად დარჩენილი 3200 ლარი წყლის სისტემების მოწესრიგებას მოხმარდება. აღნიშნულ თანხაში ბაზალეთისა და ახალსოფლის მოსახლეობისათვის წყლის მილების შეძენა მოხდება. ცვლილება მოხდა საკრებულოს 2016 წლის ხარჯებშიც. კერძოდ, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების შესავსებად 10 000 ლარი გამოიყო. ასევე 1 000 ლარით გაიზარდა ა(ა)იპ ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის სუბსიდია.

საბიუჯეტო ცვლილებას გამოეხმაურა ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი. „არ ვეთანხმები საკრებულოს ხარჯების გაზრდას. მაინტერესებს რატომ გახდა აღნიშნული თანხის დამატება აუცილებელი. ვაპირებთ თუ არა შტატგარეშე მომუშავე პირთა რაოდენობის გაზრდას საკრებულოში და თუ ვაპირებთ რამ გამოიწვია ამის აუცილებლობა. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული 10 000 ლარის ასახვა ხარჯების ნაწილში უნდა იყოს უფრო მეტად დასაბუთებული. როდესაც 2016 წლის ბიუჯეტი დავამტკიცეთ, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისათვის თანხები გათვალისწინებული იყო.ქალბატონო ინგა თქვენ აპროტესტებთ ხოლმე ხარჯების გაზრდას ახლა კი თავად გამოდიხართ ხარჯების გაზრდის ინიციატივით. აქ ნათელია თქვენი მიზნები და მმართველების პოპულისტური პრინციპები. ბიუჯეტის სახსრების გამოყენება პოლიტიკური დივიდენდების დასაგროვებლად დაუშვებელია.“

საკრებულოს თავმჯდომარის, ინგა მაღრაძის, განმარტებით, საკრებულოს აპარატი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმიანობას. საკრებულოს სჭირდება როგორც ძირითადი შტატით გათვალისწინებული ადამიანები, ასევე ხელშეკრულებით აყვანილი შტატები. მომავალში შემცირება იქნება საჭირო თუ ამ შტატების გაზრდა, ამას წინასწარ ვერ ვიტყვი. რაც შეეხება იმას, თუ რამ გამოიწვია თანხების გაზრდის საჭიროება, მე როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ვიზიარებ იმ პასუხისმგებლობას, როცა ბიუჯეტი დგებოდა მეტი დრო უნდა დამეთმო. შრომით ანაზღაურების ნაწილი გვაქვს ისე გაწერილი, რომ აღებული ვალდებულებების დასაფარი თანხაც არ გვაქვს წლის ბოლომდე. სწორედ ამისთვისაა საჭირო ხარჯების გაზრდა.“

დეპუტატების უმრავლესობამ საბიუჯეტო ცვლილებას მხარი დაუჭირა.

მარიანა გურჯალიანი

მარელისში გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს

4 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, არჩილ ლურსმანაშვილმა, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, ბესო ჭიპაშვილმა და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ, მარელისში გზის მოასფალტების სამუშაოები დაათვალიერეს.

არჩილ ლურსმანაშვილის ინფორმაციით, სოფელ მარელისში გზის 3, 650 კილომეტრ მონაკვეთზე ასფალტის საფარი დაიგება, რომლის სიგანე 4,5 მეტრი იქნება. მოეწყობა სანიაღვრე არხები. ამჟამად გზის გაწმენდითი სამუშაოები დასრულებულია. გზის საფარი სოფელ მარელისის გადასახვევიდან (ხიდიდან) სოფლის ბოლომდე დაიგება. პროექტის ღირებულება 1 100 000 ლარს შეადგენს.

როგორც შ.პ.ს „იბოლიას“ სამუშაოების მწარმოებელმა, ელდარ არჩვაძემ, განაცხადა პროექტის ჩაბარების ვადა აგვისტოშია, თუმცა სამუშაოები, სავარაუდოდ, ივნისში დასრულდება. ამჟამად გზის სამუშაოებზე 6 ადგილობრივი მოქალაქეა დასაქმებული. დაქმებულთა რაოდენობა სამუშაოების ზრდასთან ერთად გაიზრდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა საჯარო სამსახურში მომუშავე ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, საჯარო სამსახურში მომუშავე ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები ღია ცის ქვეშ, გამგეობის ვერანდაზე, უჩვეულო გარემოში, მიულოცა. ღია ცის ქვეშ მილოცვა სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა.

კობა ლურსმანაშვილმა ქალბატონები დალოცა, წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ ქალებს შესწევთ ძალა, გაუმკლავდნენ სიძნელეებს, იპოვონ ნათელი ფერები და შეცვალონ გარემო უკეთესობისკენ.

გაზაფხულის მოსვლას გილოცავთ ქალბატონებო! თქვენი ცხოვრება სიახლეებით, ნათელი დღეებით და ლამაზი მოულოდნელობებით ყოფილიყოს სავსე!

დეპუტატებმა თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს

7 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა გააცნო საკრებულოს წევრებს, კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა. მისი ინფორმაციით, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში კომისიამ დადებითად შეაფასა და გარკვეული რეკომენდაციებიც გასცა.

„მისასალმებელია ის ფაქტი, რომ შემოსულობების გეგმა შესრულებულია 97.3%-ით. ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელს უფრო გავაუმჯობესებთ შესრულების პროცენტს. კომისიის წევრებისგან გაიცა გარკვეული რეკომენდაციები. კერძოდ, დროულად უნდა მოხდეს სამართლებრივი გზით იმ ჯარიმების ამოღება, რომელიც მეწარმე სუბიექტს ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის მუნიციპალიტეტმა დააკისრა. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი შეიძლებოდა მეტი ყოფილიყო, რადგან საკრებულომ დაამტკიცა საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა, თუმცა, სამწუხაროდ, პრივატიზების პროცესი არ ჩატარდა. რაც შეეხება იმ მეწარმე პირებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის ქონებით სარგებლობენ, რიგ შემთხვევებში მათთან ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული. გამგეობის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა მოგვცა პირობა, რომ უახლოეს დღეებში მომზადდებოდა ხელშეკრულებები. 2015 წელს საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად 13 300 ლარი დაიხარჯა. კომისიის მხრიდან გამოითქვა პრეტენზია, რომ აღნიშნული მომსახურების უზრუნველყოფა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც უნდა მოხდეს. წლიურ ანგარიშში საუბარი იყო მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად დახარჯულ 900 ლარზე. კომისიის წევრები დაინტერესდნენ, ვაპირებთ თუ არა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას ამ მიმართულებით. ასევე ა(ა)იპ-ებში უნდა მოხდეს შტატების ოპტიმიზაცია, რათა თანხები უფრო რაციონალურად დაიხარჯოს. ძალიან დიდი თანხები მიიმართა საბიუჯეტო ორგანიზაციების სუბსიდირებაზე“ — დასძინა ვარლამ ჭიპაშვილმა.

დეპუტატებმა ხმათა უმრავლესობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს.

სხდომაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშიც მოისმინეს.

კომისიის თავმჯდომარის, გივი ხიჯაკაძის, განმარტებით კომისიამ განიხილა 389 განცხადება. აქედან საკუთრების მოწმობაზე დადებითი პასუხი გაეცა 308 განმცხადებელს. დოკუმენტაციის არასრულყოფილების გამო 34-ს ეთქვა უარი.

დეპუტატებმა ასევე იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ა(ა)იპ „ხარაგაულის კულტურის ცენტრს“ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის წესით, გადაეცეს ხარაგაულის კინოთეატრის შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ფართი.

სხდომის დასასრულს, ნადაბურის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მიხეილ გელაშვილმა, დააყენა საკითხი, რომ „„სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი 108 000 ლარი, რომელიც კიცხის საზოგადოებრივი სახლის მშენებლობის დასრულებისთვის მიიმართა, გადატანილ იქნეს ნადაბურის საბავშვო ბაღის მოსაწყობად. მიხეილი გელაშვილის თქმით, ნადაბურში ბავშვთა კონტიგენტი არსებობს და აუცილებელია საბავშვო ბაღის მოწყობა.

მარიანა ბურჯალიანი

ხარაგაულში ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს

9 მარტს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სისხლის უფასოდ გაღების აქცია ჩატარდა. „სისხლის ბანკის“ მობილური ჯგუფი, მოხალისეებს მთელი დღის განმავლობაში იღებდა.

„სისხლის ბანკი“ ერთადერთია საქართველოში, რომელიც შპს „მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს“ სისხლის კომპონენტებით უზრუნველყოფს. მოგეხსენებათ, კლინიკაში არსებობს ონკოჰემატოლოგიური განყოფილება, სადაც ლეიკემიით დაავადებული ბავშვები გადიან მკურნალობის კურსს. აღნიშნული პაციენტები 8-10 თვის განმავლობაში ძლიერმოქმედი ქიმიური პრეპარატებით მკურნალობენ. მათ სისტემატიურად ესაჭიროებათ ახალი სისხლისგან დამზადებული კომპონენტები (თვეში დაახლოებით 400-500 ერთეული). აღსანიშნავია, რომ დონორთა აქტიურობა ქვეყანაში საკმაოდ დაბალია. სისხლის კომპონენტების მარაგის პერიოდული ნაკლებობა კი ბავშვების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

ყველა დონორს, ვინც გაიღებს სისხლს ბავშვებისთვის, უფასოდ ჩაუტარდებათ შემდეგი კვლევები: სისხლის ჯგუფი და რეზუს ფაქტორი, სისხლის საერთო ანალიზი, აივ ინფექცია, ჰეპატიტი C, ჰეპატიტი B და სიფილისი.

„სისხლის ბანკის“ მენეჯერის, თათია ვაჭრაძის ინფორმაციით,სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სისხლის გაღების აქცია ოთხი წელია ხორციელდება.

„სისხლის ბანკის“ მობილური ჯგუფი უახლოეს მომავალში საქართველოს მასშტაბით არსებულ სხვა მუნიციპალიტეტებში არსებულ საგანმანათლებლო რესურსცენტრებსაც ესტუმრება.

თამარ მაღრაძე

ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემის წესში ცვლილება შედის

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ გააცნო. ქალბატონი ნანას ინფორმაციით, დახმარებების გაცემის წესში ცვლილება შედის. კერძოდ, თუ 2015 წელს ბენეფიციარს სამედიცინო მომსახურება სრულად უფინანსდებოდა, მიმდინარე წელს სოციალურად დაუცველების სამედიცინო მომსახურება 70%-ით დაფინანსდება, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში 50%-ით , მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა. სამედიცინო გამოკვლევებიც ანალოგიურად დაფინანსდება, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა. რაც შეეხება C ჰეპატიტით დაავადებულ პირებს, მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით სოციალურად დაუცველები 30%-ით დაფინანსდებიან, ხოლო დანარჩენი ბენეფიციარები 70%-ით. ცვლილებაა მედიკამენტების შეძენის ხარჯებშიც. 2016 წელს მედიკამენტების შესაძენად 100 ლარამდე გაიცემა, ხოლო სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების შემთხვევაში 500 ლარამდე. ასევე შეიცვალა გარდაცვლილის ოჯახის ფინანსური დახმარების გაცემის წესი. გარდაცვლილის ოჯახს, რომელსაც აქვს 30 000 სარეიტინგო ქულა, ერთჯერადად 200 ლარიანი დახმარებას მიიღებს. რაც შეეხება ახალშობილის ოჯახებისთვის გასაცემ თანხებს, პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში ოჯახი მიიღებს 100 ლარს, ყოველ მომდევნო ბავშვზე ეს თანხა 50 ლარით გაიზრდება, ხოლო ტყუპების შეძენის შემთხვევაში ოჯახი 500 ლარს მიიღებს.

ცვლილებების შესახებ თავიანთი დამოკიდებულება დააფიქსირეს ბიუროს წევრებმა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, ოპერაციის თანხა 100% უნდა დაფინანსდეს.

აღნიშნული საკითხი განსახილველად ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას გადაეცა.

მარიანა ბურჯალიანი

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ წარმომადგენლებმა სოციალურად დაუცველ დედებს დახმარება გაუწიეს

3 მარტს „დედის დღესთან“ დაკავშირებით, ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“(დირექტორი ეკა შავიძე) თანამშრომლები და გამგებლის წარმომადგენელი ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, თენგიზ ჭიპაშვილი, ბაზალეთში მცხოვრებ ტყუპების დედას, ნინო გრძელიძეს, ესტუმრნენ. ახალბედა დედას დედის დღესასწაული მიულოცეს, ბედნიერი დედობა უსურვეს და ბავშვებისათვის სპეციალური საკვები პროდუქტები და პამპერსები გადასცეს. აღსანიშნავია, რომ „მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი“ ნინო გრძელიძის ოჯახს ბავშვის საკვებით ყოველთვიურად ეხმარება. ამავე დღეს დახმარება გაეწია სოფელ ლაშეში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ თეონა კიკვაძეს, რომელსაც ბავშვის საკვები პროდუქტები და პამპერსები გადაეცა. თეონა კიკვაძის ოჯახმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფულადი დახმარებაც მიიღო.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 685 310 ლარი დაიხარჯება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2016 წელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 685 310 ლარი დაიხარჯება. 24 თებერვალს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე, 2016 წელს „სოფლის მხარადჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრეს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების სამმართველოს იმერეთის მხარის კოორდინატორი, კობა ქიმაძე და იმერეთის გუბერნიის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი, იუზა უგულავა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან“ დაკავშირებით, არსებულ ცვლილებებზე ესაუბრნენ. სამუშაო შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში შედგა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხების სოფლებზე განაწილებაში ცვლილებებია შესული.

„თანხის განაწილების პრინციპი ყველა სოფლისათვის სხვადასხვა იქნება. თანხა ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით გაიცემა. მუნიციპალიტეტს აქვს უფლება და გამგებლის წარდგინებით საკრებულოს შეუძლია დაამტკიცოს, რომ მთლიანი თანხა თუნდაც ერთ პროექტზე განისაზღვროს ან გადაანაწილოს რამდენიმე სოფელზე და პროექტები დაამსხვილოს.“

შეხვედრაზე მოხდა განმარტება, რომ კრების ოქმში ასევე მითითებული უნდა იყოს ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა. შეხვედრების მასშტაბურად ორგანიზების მიზნით, გამგებლის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალათ დროულად მოახდინონ სოფლის მოსახლეობის ინფორმირება.

იმერეთის გუბერნიის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა იუზა უგულავამ განმარტა, რომ სოფლებმა მაქსიმალურად თავი უნდა შეიკავონ გზების მოხრეშვისგან, რადგან, განკარგულების თანახმად, გამოყოფილი თანხა მხოლოდ მრავალწლიან პროექტებზე უნდა დაიხარჯოს.

პროექტების განსახორციელებლად დადგენილებით გამარტივებული 3 დღიანი ტენდერი გამოცხადდება. 50%-ზე მეტი თანადაფინანსების შემთხვევაში კი - 20 დღიანი ტენდერი.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტზე გამოცხადებული ტენდერი ორჯერ ჩავარდება, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, სამუშაო ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შეასრულოს. შეხვედრას ესწრებოდა გამგებლის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში ინგა ბერაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სოფლის შეხვედრებზე დაცული იყოს გენდერული თანასწორობა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ქალბატონები უკეთ ხედავენ იმ პრობლემებს, რაც სოფელს და ოჯახს აწუხებს. გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს რომელიმე სქესის უპირატესობას, ეს არის თანაბარი შესაძლებლობები ორივე სქესისთვის, რაც გულისხმობს თანაბარ ჩართულობას იმ პროცესებში, რაც სოფლად მიმდინარეობს“ - ამბობს ინგა ბერაძე.

სოფლებში კრებების ჩატარება დაახლოებით 15 მარტიდან დაიწყება. კრებებზე ადგილობრივი მოსახლეობა თავად აირჩევს სოფლისთვის პრიორიტეტულ პროექტს განსახორციელებლად.

თეა ბერიძე,
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ექვსი სოფელი გაზიფიცირდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ორი სოფლის ლაშისა და კიცხის გაზიფიცირების შესახებ ინფორმაციას, რომელიც „ახალი ხარაგაულის“ N313(05)-დაიბეჭდა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, გამოეხმაურა. იგი აღნიშნავს, რომ გავრცელებულ ინფორმაციაში ნახსენები არ არის ის ოთხი სოფელი (ბაზალეთი, ჩხერი, ახალსოფელი და თეთრაწყარო), რომელთა გაზიფიცირება 2015 წელს იყო დაგეგმილი.

ვარლამ ჭიპაშვილი: ,,ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, 2015 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით, სოფელი ბაზალეთი, ჩხერი, ახალსოფელი და თეთრაწყარო უნდა გაზიფიცირებულიყო, მაგრამ კერძო კომპანია „სოკარ-ჯორჯია გაზმა“ ნინა წელს ვერ უზრუნველყო ვალდებულების შესრულება. გამომდინარე აქედან, აღებული ვალდებულება მიმდინარე წელს შესრულდება და ეს სოფლები გამრიცხველიანდება. როგორც სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, სწორედ ამიტომ აღარ მოხვდა ეს ოთხი სოფელი ახალ სამუშაო გეგმაში, მაგრამ მათი გაზიფიცირება კვლავ პრიორიტეტია.რაც შეეხება სოფლების: ლაშისა და კიცხის გაზიფიცირებას, ეს ახალი ვალდებულებაა და მათი გაზიფიცირება თავისთავად მოხდება.“

2016 წელს ხარაგაულის ექვსი სოფელი: ბაზალეთი, ჩხერი, ახალსოფელი, თეთრაწყარო, ლაშე და კიცხი გაზიფიცირდება.

საფეხბურთოს 2016 წელს ფეხბურთის განვითარებისათვის 40 მილიონ ლარს დახარჯავს

(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009-ის“ ბალანსზე არსებული თანხა 102,5 ათასი ლარი, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში“ გადავა. ამის შესახებ დეპუტატებმა 4 მარტს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს. როგორც საფინანსო—საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა, აღნიშნა: „საქართველოს ფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, მთავრობის დადგენილებით, ყველა მუნიციპალიტეტს ეთხოვა მათ მიერ ფეხბურთის გუნდისთვის გამოყოფილი თანხები ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში“ გრანტის სახით გადაირიცხოს. საქართველოს ტის ბიუჯეტიდან 250 000 ლარით მოხდა. 2016 წელს კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, როგორ შესაძლებლობასაც მოგვცემს ისე განვიხილავთ ამ საკითხს“ —აღნიშნა ვლადიმერ გელაშვილმა.

ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილის განმარტებით, სახელმწიფოს მიერ 2016 წელს ფეხბურთის განვითარებისათვის 40 მილიონი ლარია გათვალისწინებული. „ვესწრებოდი ფეხბურთის განვითარების პროექტის პრეზენტაციას. მაისის ბოლომდე კლუბი ცენტრალური ფონდიდან 300 000 ლარს მიიღებს. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში ბავშვთა ფეხ-

მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილების საფუძველზე, 2016 წლის პირველი მარტის მდგომარეობით ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ ჩხერიმელა 2009-ის“ ბალანსზე არსებული სუბსიდია, 102,5 ათასი ლარი, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში“ გადავა. ასევე, არის თხოვნა, რომ 2016 წლის განმავლობაში „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში“გასულ წელს კლუბ „ჩხერიმელასთვის“ გამოყოფილი თანხის ოდენობა გადაირიცხოს. 2015 წელს, საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009—ის“ სუბსიდირება მუნიციპალიტებურთი განვითარდება. „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“ თვითონ განსაზღვრავს სამტატო ნუსხას, ხელფასებს, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ა.შ. პროექტით გათვალისწინებულია და აუცილებელია კლუბს ერთი ასაკობრივი გუნდი ჰყავდეს. შესაძლებელია, სოფლებიდან აირჩიონ ბავშვები და კლუბმა მოახდინოს მათი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა. ფეხბურთის განვითარების პროგრამა გუნდებს თანაბარ პირობებში ყოფნის საშუალებას მისცემს“, — დასძინა ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა.

თამარ მაღრაძე

სოფელ ფარცხნალში გზის 1 200 მეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგება

2 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, დავით დევდარიანმა, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, არჩილ ლურსმანაშვილმა, სოფელ ფარცხნალში გზის მობეტონების სამუშაოები დაათვალიერეს. გამგებლის მოადგილის, დავით დევდარიანის, ინფორმაციით, პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 230 000 ლარით ფინანსდება. გზის მობეტონების სამუშაოებს შ.პ.ს „დალა 73“ ასრულებს. ფარცხნალში გზის საფარი 1 200 მეტრზე დაიგება, რომლის სიგანე 4 მეტრი, ხოლო სიმაღლე 16 სანტიმეტრი იქნება. გზის მობეტონების სამუშაოები 14 მარტს დასრულდება.

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ხარაგაულში შეხვედრა გაიმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ბიზნესის განვითარების ოფიცრები მირანდა მანაგაძე და ჭაბუკ ჭეიშვილი სტუმრობდნენ. ისინი გამგეობის სხდომათა დარბაზში ბიზნესით დაინტერესებულ მოქალაქეებს შეხვდნენ და დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე და თემურ ჩხეიძე, გამგებლის წარმომადგენლები და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლები.

ჭაბუკ ჭეიშვილის განმარტებით, საქართველოს მოსახლეობას ეძლევა საშუალება 15 თებერვლიდან 31 მარტამდე, საკუთარი ბიზნეს იდეა ვებ-გვერდის www.qartuli.ge-ის მეშვეობით წარადგინოს და პროგრამაში ჩაერთოს. სახელმწიფო აღნიშნული პროექტის ფარგლებში 5 000 დან 15 000 ლარამდე გასცემს თანადაფინანსების სახით. (ერთ მეწარმეზე გაიცემა-5 ათასი ლარის ოდენობით (20% თანამონაწილე), ორზე-10 000 ლარი (20%), ხოლო სამზე-15 000 ლარი). აღნიშნული პროექტი ბიზნესის განვითარების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს.

ჭაბუკ ჭიპაშვილი: „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს რამდენიმე ეტაპს: პირველი ეტაპი გახლავთ ბიზნეს იდეის წარდგენა, შემდეგი-ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგი, თუ პიროვნებების მიერ წარმოდგენილმა ბიზნეს გეგმამ მოწონება დაიმსახურა, ამ შემთხვევაში გაივლის უფასო ტრენინგს, რადგან ბიზნეს გეგმის წარდგენას ტრენინგი და ინდივიდუალური კონსულტაციები სჭირდება. შემდეგი ეტაპია დამუშავებული ბიზნეს გეგმის წარდგენა, საბოლოოდ, არჩეული ბიზნეს გეგმების თანადაფინანსება.

აღსანიშნავია, რომ თუ პროექტის ფარგლებში ორი ერთნაირი ბიზნეს გეგმაა წარმოდგენილი უპირატესობა ქალბატონს მიენიჭება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თანადაფინანსების მოპოვებიდან, ექვს თვეში მაინც უნდა ჰქონდეს ბიზნესს შემოსავალი, ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს პიროვნებამ ბიზნეს გეგმაში. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მეწარმემ, რომელიც აღნიშნულ პროგრამაში გაიმარჯვებს თანხა ისევე უნდა დახარჯოს, როგორც ბიზნეს იდეაში ჰქონდა გაწერილი.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ინიციატივა ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ.

„...და თუნდაც ამით, არ ვგავარ არვის...“

„...და თუნდაც ამით, არ ვგავარ არვის...“ ეს ის სიტყვებია, რომლითაც ვეფხვია ღონღაძის ერთ-ერთი საავტორო ლექსი სრულდება. ნამდვილად, ვეფხვია არავის ჰგავდა. იგი იყო უნიჭიერესი და ხარაგაულზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა. მისი შემოქმედება გარდაცვალების შემდეგ გასაჯაროვდა, როდესაც მეგობრებმა „ასანთის კოლოფებსა“ თუ ბლოკნოტებში შემორჩენილი ვეფხვიას შექმნილი ლექსები შეკრიბეს და ერთ ლამაზ კრებულად „...და ოცდამეცხრე გაზაფხულს ველი“ აქციეს.

ხარაგაული მეთექვსმეტე გაზაფხულს შეხვდა მასზე უზომოდ შეყვარებული, მრავალმხრივ ნიჭიერი ახალგაზრდა ბიჭის, ვეფხვია ღონღაძის, გარეშე, რომელმაც 29 წლის ასაკში სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა.

29 თებერვალს ვეფხვია ღონღაძის ხსოვნას მიეძღვნა ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში გამართული ღონიძიება. საღამოს ორგანიზებას კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი კულტურის საკითხებში, დავით ჩადუნელი, უწევდა.

მეგობრებმა, პედაგოგებმა და ახალგაზრდა თაობამ ყველასათვის საყვარელი ვეფხვია ღონღაძე კიდევ ერთხელ გაიხსენეს. ისინი ეზიარნენ იმ დამოკიდებულებასა და სიყვარულს, რომლითაც ცხოვრობდა და ცოცხლობდა ვეფხვია.

„15 წელი გავიდა ტრაგიკულად დაღუპული ხარაგაულელი ახალგაზრდის, ვეფხვია ღონღაძის, გარდაცვალებიდან. ეს საღამო იმას ემსახურება, რომ მომავალმა თაობამ გაიგოს, თუ ვინ იყო ეს ადამიანი, როგორ უყვარდა და გრძნობდა. ხოლო ყოველივეს კი თავის ლექსებში გამოხატავდა. ისეთი პიროვნებები, როგორც ვეფხვია იყო, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობენ“ - აღნიშნა დავით ჩადუნელმა.

საღამოზე, ვეფხვია ღონღაძის ლექსები არაჩვეულებრივი ინტონაციით წაიკითხეს ახალგაზრდებმა: სოფო შველიძემ, ნინო გელაშვილმა, თათია ჭიპაშვილმა და ამანდა ხვედელიძემ. ხოლო წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მგალობელთა გუნდმა, თორნიკე ბაკურაძის ხელმძღვანელობით, ულამაზესი ჟღერადობით იგალობა. თიკო და თამარ ლურსმანაშვილებმა, სალომე კვირიკაშვილმა და მარი მანჯავიძემ ვეფხვიას ტექსტზე შექმნილი სიმღერით (კომპოზიტორი დალი მერაბიშვილი) მონუსხეს მაყურებელი. ყოველივეში გამოხატული იყო ის ძლიერი სიყვარული, რომელსაც ვეფხვია ხარაგაულის მიმართ გრძნობდა. ყველასათვის სასიამოვნო იყო დავით კვირიკაშვილის, მიხეილ ბანცაძის, ბესო სახვაძისა და დავით ჩადუნელის მიერ შესრულებული ვეფხვია ღონღაძის ტექსტზე შექმნილი სიმღერა, რომლის არანჟირებაც სპეციალურად ამ დღისთვის შეიქმნა (მუსიკის ავტორი დალი მერაბიშვილი).

ვეფხვიას ბავშვობის მეგობარმა, გამგებლის მრჩეველმა ტურიზმის საკითხებში, მამუკა ჭიპაშვილმა, მადლობა გადაუხადა კულტურის სამსახურს ამ არაჩვეულებრივი საღამოს ორგანიზებისთვის, „განსაკუთრებული მადლობა იმ ბავშვებს, რომლებიც ღონისძიებაში მონაწილეობდნენ. ძალიან მიხელდება ვეფხვიაზე საუბარი. ჩვენ ბაღიდან ერთად მოვდიოდით. ერთ კლასში ვსწავლობდით... ვეფხვია ხშირად გვაოცებდა თავისი ნიჭიერებით. იგი საოცრად თავმდაბალი პიროვნება იყო. მის კრებულში შესულია ისეთი ლექსები, რომლებიც თავისუფალ დროს, 2 წუთიანი შეჯიბრებისას, დაგვიწერია. სამწუხაროდ, ამ შედევრის ფასი ვეფხვიას გარდაცვალების შემდეგ გავიგეთ. ცხოვრების რთული პერიოდი შეხვდა და თითქოს თავისი ადგილი ვერ იპოვა. დღეს რომ ვეფხვია ცოცხალი იყოს, იგი ხარაგაულს ძალიან გამოადგებოდა. არიან ადამიანები, რომელთა ადგილის შევსება ძალიან რთულია და ვეფხვიას ადგილი ვერავინ შეგვივსო. ხატავდა ძალიან კარგად, თუმცა მისი ნახატები არ დაგვრჩენია,“- იხსენებს მამუკა ჭიპაშვილი.

ვეფხვია გაიხსენა ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, ფონდის მთავარმა მცველმა, ეკა შველიძემ: „ძნელია, როდესაც იხსენებ ისეთ ადამიანს, რომელიც ჩვენ გვერდით უნდა იყოს. ვეფხვია შეიძლება ითქვას, რომ ჩემს სახლში იზრდებოდა. მას უმძიმეს პერიოდში მოუწია ცხოვრება. განსაკუთრებით მძიმე იყო პერიოდი, როდესაც მან დაამთავრა ინსტიტუტი და ხარაგაულში ჩამოვიდა. რთული სიტუაციის გამო ვეფხვიას ნიჭის რეალიზების არეალი არ ეყო. ძალიან ღრმა და თავმდაბალი პიროვნება გახლდათ. მიუხედავად თავისი ნიჭიერებისა, იგი ქედმაღალი არ ყოფილა.“

თვალცრემლიანი, სევდიანად გვიამბობდა ვეფხვიას შესახებ მისი პედაგოგი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ქართული ენის პედაგოგი, კლასის დამრიგებელი ნელი შარიქაძე. „ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იყო ვეფხვია ღონღაძე, გამორჩეული და თავისებური. როგორც პოეტური ნიჭით დაჯილდოებულს მას ნამდვილად არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცნობდი როგორც კარგ ადამიანს, კარგ პიროვნებას.“

„კარად აღზრდილი ადამიანი იყო ვეფხვია. როდესაც მისი ლექსები წავიკითხე, აღმოვაჩინე ამ პიროვნების ნიჭიერება. წინასწარ ვერავინ ვერ წარმოიდგენს, რა იქნება ხვალ. ძალიან მწყდება გული, რომ ვერ მოვეფერე მას ისე, როგორც ამას ჩემგან იმსახურებდა. დღევანდელი დღე, ვეფხვიას სულისთვის იქნება ძალიან კარგი. ადამიანები თუ უფრო მეტად მოვეფერებით ერომანეთს, ეს უკვდავების საწინდარი იქნება,“ - აღნიშნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, პაატა გოგოლაძემ.

ღონისძიებაზე გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ, ვეფხვია ღონღაძის ლექსი წაიკითხა. ხოლო მამუკა ჭიპაშვილმა წაიკითხა საკუთარი ლექსი, რომელიც ვეფხვიას ცხოვრების ტრაგიკულ ბოლო წუთს ასახავდა.

თამარ მაღრაძე

ვიდეოკონკურსის „მე და კონსტიტუცია“ მეორე ტური 19 მარტს გაიმართება

ვიდეოკონკურსი სახელწოდებით „მე და კონსტიტუცია“ არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ლაბორატორიისა“ და პრეზიდენტის ფონდის ხელშეწყობით ხორციელდება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ვიდეოკონკურსის პირველი ტური 4-მა საჯარო სკოლამ გადალახა. ესენია - დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის გუნდი(ხელმძღვანელი ვარლამ ჭიპაშვილი), სოფელ ხევის საჯარო სკოლის გუნდი(ხელმძღვანელი - ნატო ბლიაძე), სოფელ მარელისის საჯარო სკოლის გუნდი (ხელმძღვანელი ეკატერინე ქურდაძე) და სოფელ ბორითის საჯარო სკოლის გუნდი (ხელმძღვანელი - მადონა ულუმბელაშვილი).

მნიშვნელოვანია, რომ იმერეთის მასშტაბით ვიდეოკონკურსის ათეულში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 4 სკოლა მოხვდა. კონკურსი სამ ეტაპად ჩატარდება და გამარჯვებული ხელმძღვანელ- მასწავლებელთან ერთად პარიზსა და სტრასბურგში გაემგზავრება.

ცნობილია, რომ ვიდეოკონკურსის „მე და კონსტიტუცია“ მეორე ეტაპი, იმერეთის რეგიონისთვის, 19 მარტს, ქ. ქუთაისში გაიმართება.

საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ხარაგაულში მორიგი სოციალური აქცია გამართა

საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ (ხელმძღვანელი მაია კვეზერელი-კოპაძე) ხარაგაულში მორიგი საქველმოქმედო აქცია განახორციელა. მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ინიციატივით, საერთაშორისო ასოციაციამ ხარაგაულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ტანსაცმელი გადასცა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან საქველმოქმედო აქციით 45-მა ოჯახმა ისარგებლა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ, „მოქალაქეთა ჩართულობისა დ აინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელმა ეკა შავიძემ და ამავე ცენტრის წარმომადგენელმა ოთარ ლურსმანაშვილმა, სოციალურად დაუცველ ოჯახებს ტანსაცმელი პირადად გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ხარაგაულში სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებს პერმანენტულად ახორციელებს.

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ანსამბლი „უბისი“ დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიიწვია

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა და გაზეთმა „საქართველოს ქორეოგრაფიამ“ ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“ (ხელმძღვანელები ზაზა და ელისო ლურსმანაშვილები) თბილისში, დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე,მიიწვია. ანსამბლმა „უბისმა“ 3 მარტს კონგრეს „არტ ჰოლში“ გამართულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, სადაც ასევე სხვადასხვა ფესტივალში გამარჯვებული ბავშვთა ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები გამოვიდნენ.ამავე ღონისძიებაზე ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“ პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ღონისძიებაზე წარმატებით გამოსულ ანსამბლებს, მათ შორის, „უბისს” რეკომენდაცია გაეწიათ, ბულგარეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ნესებრში, ფესტივალ—კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა.

„სოფლის მხარადაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრები სოფლებში 15 მარტიდან დაიწყება

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის, მალხაზ ფხალაძის ინფორმაციით „სოფლის მხარადჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სულ 685 310 ლარი გამოეყო, აქედან 118 000 ლარი კიცხის საზოგადოებრივი სახლის მშენებლობის დასრულებისთვის მიიმართება, დანარჩენი თანხა კი სოფლებზე შემდეგნაირად გადანაწილდება:ბაზალეთი-7 000 ლარი, ღარიხევი-5 000 ლარი,ქროლი 4 000, წიფი-4000, ბორითი-14 000, საქასრია 10 000, მაქათუბანი-10 000, უბისა-10 000, ერეთა-4 000, ვაშლევი-4000, კვესრევი-4000, ამაშუკეთი-4 000, ვარძია-20 000, ვახანი-12 000, სერბაისი 6000, ზედუბანი-5 000, ზვარე-11 000, ჩრდილი-12 000, ნუნისი-4 000, კიცხი-15 000, ბორი-8 000, საქარიქედი-8 000, კიცხის, იგორეთი-4 000, თეთრაწყარო-9 000, ლეღვანი-15 000, მარელისი-10 000, დიდვაკე-5 000, ლაშე-10 000, ლაშის იგორეთი-4 000, უჩამეთი-5 000, ღვერკი-6 000, ხემაღალი-5 000, მოლითი-7 000, დეისი-6 000, ბეჟათუბანი-4 000, ჭარტალი-4000, ნებოძირი-8 000, ქვები-7 000, ბაბი-4 000, ანიულა-4 000, ნადაბური-10 000, გოლისი-4 000, სარგვეში-8 000, ხორითი-5 000, საბე-5 000, მიროწმინდა-4 000, საღანძილე-8 000, ზარანი-5 000, ჯაფაროული-6 000, სხლითი-4 000, ჩხერი-7 000, ვანი-5 000, ფარცხნალი-10 000, ახალსოფელი-6000, ისლარი-6 000, ღუდუმექედი-4 000, ხიდარი-18 000, წყალაფორეთი-7 000, ხონი-4 000, ლახუნდარა-11 310, პატარა ვარძია-4 000, ჩალხაეთი-4 000, წიფა-7 000, გოლათუბანი-12 000, გუდათუბანი-4 000, ფონა -4 000, ღორეშა-15 000, ხუნევი-13 000, გედსამანია-10 000, ვერტყვიჭალა-10 000, ბჟინევი-4 000, ვერტყვილა-10 000, ხევი-7 000, წაქვა-8 000, გრიგალათი-10 000, ციცქიური-6 000.

მალხაზ ფხალაძის განცხადებით, „სოფლის მხარდაჭერი პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები 15 მარტიდან დაიწყება და 27 მარტს დასრულდება, მისივე თქმით, ისევე, როგორც გასულ წელს, მიმდინარე წელსაც მოსახლეობა სოფლის პრიორიტეტს შეხვედრაზე მყოფთა უმრავლესობით აირჩევს. გთავაზობთ სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრის განრიგს:

15 მარტი
ღარიხევი - 11:00 სთ
ბორითი- 11:00 სთ
საქასრია-13:00 სთ
წიფი-13 :00 სთ
მაქათუბანი-11:00 სთ
უბისა- 13:00 სთ
ვარძია- 12:00 სთ
ღორეშა-(12 სთ)

16 მარტი
ბაზალეთი-12:00 სთ
ქროლი- 15:00 სთ
ერეთა-11:00 სთ
ვაშლევი-13 :00სთ
წაქვა - 11:00 სთ
გრიგალათი - 13:00 სთ

17 მარტი
კვესრევი-11:00 სთ
ამაშუკეთი- 13:00 სთ
სხლითი-11:00 სთ
ვანი-13:00 სთ
ხევი-11 :00სთ
ხიდარი-12:00 სთ
ციცქიური - 13:00 სთ

18 მარტი
ვახანი-12:00 სთ
ჯაფაროული-11:00 სთ
ჩხერი-13:00 სთ
ბჟინევი 11:00 სთ

20 მარტი
ხუნევი -11:00 სთ
გედსამანია -13:00 სთ
მიროწმინდა-13:00 სთ
ზვარე-12:00 სთ
ხორითი-11:00 სთ

21 მარტი
ჩრდილი-11:00 სთ
ნუნისი-13:00 სთ
სარგვეში-11:00 სთ
საბე-13:00 სთ
გოლათუბანი-11:00 სთ
გუდათუბანი - 13:00 სთ

22 მარტი
კიცხი-11:00 სთ (15 000 ლარი)
ბორი-13:00სთ (8 000 ლარი)
ნადაბური -11:00 სთ.10 000 22 მარტი
გოლისი-13:00 სთ (4 000 ლარი)
წიფა -11:00 სთ(7 000 ლარი)
ფონა -14:00 სთ (4 000 ლარი)

23 მარტი
საქარიქედი-11:00 სთ
კიცხის იგორეთი-13:00 სთ
ჩალხაეთი -12:00 სთ

24 მარტი
თეთრაწყარო -12:00 სთ
ლეღვანი-11:00 სთ
მარელისი-13:00 სთ
ჭარტალი-12:00 სთ
ბაბი-14:00 სთ
ქვები-11:00 სთ
ლახუნდარა-11:00 სთ
პატარა ვარძია-13:00 სთ

25 მარტი
დიდვაკე-1:00 სთ
ხემაღალი-12:00 სთ
ნებოძირი-11:00 სთ
ბეჟათუბანი -14:00 სთ
ანიულა-13:00 სთ
ისლარი- 11:00სთ
ღუდუმექედი-13:00 სთ
წყალაფორეთი-11:00 სთ
ხონი-13:00 სთ

26 მარტი
ლაშე-11:00 სთ
ლაშის იგორეთი -11:00 სთ

მოლითი-11:00 სთ

დეისი-13:00 სთ

ფარცხნალი-11:00 სთ

ახალსოფელი-13:00 სთ

„ალბათ ვარსკვლავმა ეშხი გაგიყო...“

თებერვალი მიიწურა და ირგვლივ უკვე გაზაფხულის სუნი ტრიალებდა შენს ხარაგაულში... ბუნება სადღესასწაულოდ ირთვებოდა, ახალ სიცოცხლეს უერთდებოდა...

სწორედ ამ დროს ეუწყა შენს სამკვიდროს, რომ დედაქალაქში ჯანმრთელობის აღსადგენად წასულ მის მშვენებას, ლილი კიკნაძე - სებისკვერაძეს, ცოცხალს ვეღარ შეეგებებოდა...

შენ, სიცოცხლის, სილამაზისა და სიკეთისათვის გაჩენილმა, წარუშლელი კვალი დატოვე ხარაგაულის საზოგადოების სულსა და გულში...

ვინ აღრიცხავს, ვინ შეაფასებს იმ მადლიერებას, რასაც გამოხატავდნენ შენთან ურთიერთობით კმაყოფილი ადამიანები. ჯანმრთელობის სფეროს უანგარო გუშაგი, ჯერ რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების, ხოლო შემდეგ ამავე საავადმყოფოს მთავარი ექთანი, შენეული პასუხისმგებლობით მუდამ მზად იყავი, მაქსიმალურად გამოგევლინა ღვთისგან მომადლებული უნარ- შესაძლებლობანი. სწორედ ამიტომ იქცა ხარაგაულში ლილი კიკნაძის სახელი სიკეთისა და სითბოს სინონიმად.

... შენთან ყოველი შეხვედრა საოცარ ძალასა და ენერგიას მმატებდა, იმ უბედნიერეს წლებთან მაბრუნებდა, რომელშიც დაბინადრებულია ჩვენი მოსწავლეობის უტკბესი დღეების სუნთქვა, იმედები, შემართება...

რა დამავიწყებს შენი მეტყველი თვალების ელვარებას, საოცარი გრძნობით წარმოთქმულ ლექსებს, მისასალმებელ სიტყვებს, მუდამ აქტიურად რომ იყავი ჩართული ყველა სასკოლო ღონისძიებაში.

ვიგონებ ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო წრეს, რომელსაც უსაყვარლესი პედაგოგი, ლევან აბაშიძე, ხელმძღვანელობდა. ერთხელ ლევან მასწავლებელმა დაგვავალა, რომ ცნობილი მწერალი ქალის, კლავდია დევდარიანის, თხზულება „გულო“ წაგვეკითხა და დაგვპირდა ავტორთან შეხვედრას. ეს მოთხრობა ოჯახურ ყოფასა და ცოლ - ქმარს შორის ურთიერთობის გამწვავების მავნე შედეგს ასახავს, რომელმაც ქეთევანისა და არჩილის უდანაშაულო პირმშო, გოგი, იმსხვერპლა.

-„მე მინდა, ჩემი დედიკო იყოს ბედნიერი და მერე, მერე, როცა დიდი გავიზრდები, მეც ბედნიერი დედა ვიყო!“ ეს ისეთი ემოციით იყო შენგან წარმოთქმული, რომ ატირდა ავტორი და ავტირდით ჩვენც. მწერალმა გულში ჩაგიხუტა და თქვა: „ბედნიერი ვარ, რადგან ვხედავ, რა რეზონანსი მოჰყვა ჩემს მოთხრობას, რა შთაგონებით აავსო მოზარდის სული.“

გავიდა წლები და შენ ნამდვილად გახდი ბედნიერი დედა, შრომისმოყვარე მეუღლე ელგუჯა სებისკვერაძესთან ერთად ხუთი საუკეთესოდ აღზრდილი შვილი აჩუქე საზოგადოებას.

შენი მადლია, რომ 28 თებერვალს ზღვა ცრემლმა მიგაცილა მარადიულ სავანემდე...

ისევ შეგრჩენოდა ძველებური ეშხი და სილამაზე, მაგრამ აღარ ჩანდა შენი თვალების უძირო სივრცე. ვიდექი შენს სამარესთან და გულში პოეტის სიტყვებს ვიმეორებდი:

„ალბათ ვარსკვლავმა ეშხი გაგიყო,
ეცილებოდი მას ხომ ტოლივით...“

იძინე მშვიდად, შენ ნამდვილად გაქვს მოპოვებული ამის უფლება!

მერი გიორგიძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲨᲘ 8 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ხარაგაულის „კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ხარაგაულის კინოთეატრში 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ქალბატონებისათვის გამართულ ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიება კულტურის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ირინე ჩხეიძეს, მიჰყავდა. კონცერტზე ხარაგაულელი ინდივიდუალური შემსრულებლების მიერ კიდევ ერთხელ დატკბნენ მსმენელები სიმღერებით უკვდავი ქართული კინოფილმებიდან. სიმღერები შეასრულეს: თიკო და თამარ ლურსმანაშვილებმა, თიკო ჯანიაშვილმა, მადონა შველიძემ, მაია ბერაძემ, სალომე კვირიკაშვილმა, ვასილ კიკნაძემ, დავით კვირიკაშვილმა, გიორგი მაქაძემ, კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ანსამბლმა „უბისმა“(ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე). ქართული კინოფილმიდან „მზე შემოდგომისა“ უკვდავი მელოდია ვიოლინოზე შეასრულა ანა მაჭავარიანმა (აკომპანიატორი დარეჯან გვაძაბია). კონცერტზე, ნაჩვენები იქნა ვიდეო-კოლაჟი ქართული ფილმებიდან.

სამუსიკო სკოლაში დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ცრადიციული ღონისძიება გაიმართა

10 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში (დირექტორი ლალი ალექსიძე) ტრადიციული საგაზაფხულო ღონისძიება გაიმართა. საღამოს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის დირექტორი, იღუმენი მამა ანტონი ესწრებოდნენ. სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა გაზაფხულის დღესასწაულები სტუმრებს ღამაზი მელოდიების ფონზე მიულოცეს. ამავე სკოლის გოგონათა გუნდმა კი კონცერტი სიმღერით დაასრულა.

სამუსიკო სკოლის დირექტორმა, ლალი ალექსიძემ, დამსწრე საზოგადოებას გაზაფხულის დადგომა და დედისა და ქალთა დღეები მიულოცა. მამა ანტონმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ ლალის ამ არაჩვეულებრივ ღონისძიებაზე მოწვევისთვის. „მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება დავსწრებოდი დღევანდელ კონცერტს. თქვენ ნიჭიერი თაობის აღზრდაში უდიდესი წვლილი შეგაქვთ და მადლობა ამისთვის. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ“, - აღნიშნა მამა ანტონმა.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ

10 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ-ების ჩართულობით დასუფთავების აქცია მოეწყო. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუთავების,“(დირექტორი თემურ ფურცელაძე) „ხარაგაულკეთილმოწყობის“(დირექტორი ნოდარ სხილაძე) და „ტურიზმის ცენტრის“ (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) თანამშრომლებმა მდინარე ჩხერიმელას ხეობა პოლიეთილენისა და მყარი ნარჩენებისგან გაასუფთავეს. აქციის ფარგლებში, ა(ა)იპებ-ის თანამშრომლებმა მდინარე „ჩხერიმელას“ კალაპოტი სოფელ ლაშიდან - საღანძილემდე დაასუფთავეს.

მადლობა თანადგომისთვის

სიტყვები არ გვყოფნის, როგორ გამოვხატოთ ის მადლიერება, რაც ხარაგაულელებმა გამოიჩინეს ჯამბულ გოგსაძის ჯანმრთელობის მიმართ. პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ კობა ლურსმანაშვილს, გამგეობისა და საკრებულოს თითოეული თანამშრომელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის თანამშრომლებს, ა(ა)იპ-ებს „ხარაგაულდასუფთავებასა“ და „ხარაგაულკეთილმოწყობას“. დიდი მადლობა ყველა იმ ხარაგაულელს, ვინც გულთან მიიტანა ჩვენი ოჯახის განსაცდელი. მადლობა მხარდაჭერისა და გულისხმიერებისათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ჯამგულ გოგსაძის ოჯახი

რატომ უნდა ვისწავლოთ ეროვნული თავდაცვის აკადემიაში

2 მარტს ხარაგაულელ აბიტურიენტებს დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო სკოლის დირექტორი, მანანა მაღრაძე, შეხვდა. შეხვედრა გამგეობის სააქტო დარბაზში შედგა და მას საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე და თავდაცვის აკადემიის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქალბატონმა მანანამ აბიტურიენტებს ის სასწავლო პროგრამა გააცნო, რომელსაც მათ ეროვნული თავდაცვის აკადემია (ეთა) სთავაზობს. ესაუბრა იმ ვალდებულებებზე, რომელიც მათ „ეთას“ არჩევის შემთხვევაში დაეკისრებათ.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია ემსახურება თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსს. არსებული აკადემია და სამხედრო პროგრამები საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რაც განათლებული, დემოკრატიული, სამართლებრივი და მაღალი ზნეობრივი შეგნების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბების საწინდარია. ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ჩაბარებით აბიტურიენტი აიღებს ვალდებულებას საკუთარი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ღირსეულად ემსახუროს საქართველოს.

აკადემიას ამ ეტაპზე სამი საბაკალავრო პროგრამა აქვს: მენეჯმენტი, ინფორმატიკა, თავდაცვა და უსაფრთხოება, რომელთა დამატებითი პროგრამა საერთაშორისო საჯარისო მართვაა.

სწავლის დასრულების შემდეგ იუნკერი (აკადემიის სტუდენტებს იუნკერები ჰქვიათ, მათ ეს სახელი თავდაცვის სამინისტრომ დალუქულ იუნკერთა პატივსაცემად უწოდა) იღებს ბაკალავრის ხარისხს შესაბამის სპეციალობაში და ოფიცრის პირველად სამხედრო წოდებას „ლეიტენანტი“. აკადემიის კურსრდამთავრებულებს აქვთ გარანტირებული დასაქმება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ დასაქმების შესაძლებლობა, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სექტორში.

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სტუდენტის სწავლა და ცხოვრება სრულად ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

აკადემიაში თითოეული სტუდენტი უზრუნველყოფილია: პირადი ნოუთბუქით; სასწავლო მასალებით; სასწავლო და საყოფაცხოვრებო საჭიროების ინვენტარით; ჯანმრთელობის დაზღვევით; სამხედრო და სპორტული ტანსაცმლით; კვებით.

აკადემიაში სტუდენტს შეეძლება, მიიღოს: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სანმანათლებლო პროგრამა, მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი პროფესორ-მასწავლებლები და ინსტრუქტორები, სტიპენდია ყველა სტუდენტს, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა საზღვარგარეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა.).

აკადემიაში ჩაბარება შეუძლია სრული ზოგადი განათლების მქონე 24 წლამდე აბიტურიენტს, რომელმაც უნდა გაიაროს „ეთას“ შესარჩევი ტურები (სამედიცინო შემოწმება; ზოგადი მომზადების ტესტი; გასაუბრება) და ერთიანი ეროვნული გამოცდები (ქართული ენა; ზოგადი უნარები; უცხო ენა და სავალდებულო მათემატიკა).

„ჩვენი მიზანია, რეგიონის ახალგაზრდობას ვაცნობოთ აკადემიის არსებობის შესახებ. ჩვენ გვჭირდება ფიზიკურად ძლიერი და ჭკვიანი ახალგაზრდობა, რომელიც რეგიონშია და რეგიონის ახალგაზრდობას სჭირდება ისეთი სასწავლებელი, როგორიც ეროვნული თავდაცვის აკადემიაა. წელს მიღება გვაქვს ასევე მაგისტრატურაშიც. ჩვენთან საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ერთ სტუდენტზე და სწავლის დასრულების შემდეგ, რა თქმა უნდა, გვსურს მათი ცოდნა გამოვიყენოთ. ამავდროულად სწავლაშიც ვუწყობთ ხელს, ვუშვებთ საზღვარგარეთ.“

საკონტაქტო ინფორმაცია
ქ. გორი ცხინვალის გზატკეცილი მე-5 კმ.
ტელეფონები:
577 39 01 94; (032) 2 30 52 85
ელ-ფოსტა: nda@mod.gov.ge
ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12